

07/05/2026



MES 4 26 0000543360

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 24 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting <https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=81210453767>
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

- ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
- ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
- გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
- ხათუნა ცერცვაძე** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
- დავით ჯინჭარაძე** – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
- ეკატერინე გიგაშვილი** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
- გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

- ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან ჭუჭულაშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- მაია აბდლაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნანა ხითარიშვილი

ნინო თამაზაშვილი

ალექსანდრე კეკელიძე

ზურაბ მესხიძე

ია გელენიძე

ინგა ბაქრაძე

ინგა კალანდაძე

ირმა არსენაშვილი

მაია ხურცილავა

მარიამ აბელიანი

მედეა ზურაბიშვილი

მიმოზა დოლიჯაშვილი

ნათია მაწკეპლაძე

ტიტე ბოლქვაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კასპის კოლეჯი

კოლეჯის დირექტორი - ოთარ დაბრუნდაშვილი

ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო მაზმიშვილი

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის კოორდინატორი - თამარ ბაინდურაშვილი

შპს გეოგლობალ აკადემია

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ნატალია ბარათელი

ფინანსური მენეჯერი - ელგუჯა ბითაძე

ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი - ნათია ბერუაშვილი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მ.შ. - ანა ტოროტაძე

ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის საქმისწარმოების კოორდინატორი - ქეთევან ცოტნიაშვილი

შპს მსოფლიო განათლების აკადემია

დირექტორი - მარია რომანოვა

დირექტორის მოადგილე სასწავლო/საკომუნიკაციო მიმართულებით - ნათია კონცელიძე

დირექტორის მოადგილე ხარისხის მიმართულებით - აზა იფშირაძე

ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი - ხატია აფრასიძე

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი/ დირექტორის/რექტორის მოვალეობის შემსრულებელი - მანანა ერაძე

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნათელა ჩაჩუა

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე - ნანა ნატროშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №589531 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მსოფლიო განათლების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსების“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს გეოგლობალ აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, განმარტება გააკეთა გადაწყვეტილებების ამოქმედების თარიღთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 1-ლი მაისიდან იწყება ანკეტა-კითხვარების შევსების პროცესი, რის გამოც, ცენტრი ვალდებულია, არაუგვიანეს 27 აპრილისა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS) მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნანი დალაქიშვილმა ითხოვა საბჭოს თანხმობა, რათა სხდომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 24 აპრილი.

საბჭო დაეთანხმა აღნიშნულს.

პირველი საკითხი: „სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №589531 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) შემოვიდა

სსიპ კასპის კოლეჯის N142649 – 10/02/2026, N159518 – 13/02/2026, N349180 – 23/03/2026 და N54389 – 22/01/2026, N91335 – 54389 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „იატაკისა და ფილების სამუშაოები“ და „ელექტრობა“ პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები:

პროგრამის სახელწოდება – „იატაკისა და ფილების სამუშაოები“

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი**.

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **96 კრედიტი**.

აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

პროგრამის სახელწოდება – "ელექტრობა"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66 კრედიტი**.

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი**.

აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **კოოპერაციული** მიდგომით.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული მოდიფიცირებები გავრცელდება 2026 წლის და

შემდგომი მიღების ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან წარმოშობილ ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია პროფესიული პროგრამების დისტანციურად სწავლების წესი. მოდულების დისტანციურად განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი წესის შემუშავებასა და მის ცენტრში წარდგენას დადგენილი წესით.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N589531- 17/06/2021 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N589531 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N589531 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტრობა“ და „იატაკისა და ფილების სამუშაოები“ პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 24 აპრილი.

მეორე საკითხი: შპს მსოფლიო განათლების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №185985 საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დამატების ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 24 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში, მისამართზე: ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქუჩა N24. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დამფუძნებელს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:

2.2.1.3. მიზანშეწონილია, აკადემიამ მუდმივად იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების განვითარებაზე, უზრუნველყოს მათი მონაწილეობა რეგულარულ ტრენინგებსა და პროფესიულ გადამზადებებში, რათა გაზარდოს სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდეს შეფასების პრაქტიკა და დაიცვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის მაღალი დონე.

პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ (კოდი 0612) არის მეოთხე დონის, რომელიც კურსდამთავრებულს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს. სასწავლო პროცესის განხორციელების ადგილია ქალაქი ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქუჩა N24, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატით, სადაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 225 პირით განისაზღვრა. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა ამ რაოდენობას. სასწავლო გეგმა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კრედიტს მოიცავს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით, 90 კრედიტია განსაზღვრული. პროგრამის შემუშავება ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზსა და აკადემიის სტრატეგიულ მიზნებს. 2025 წლის მონაცემებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ Junior Front-End დეველოპერებზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც დასტურდება LinkedIn-სა და სხვა დასაქმების პლატფორმებზე არსებული ათასობით ვაკანსიით. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონული კონტექსტი, სადაც ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში გამოკვეთილია მაღალი ინტერესი IT სფეროს მიმართ. პროგრამის პრაქტიკულ მდგრადობას ამყარებს გაფორმებული მემორანდუმები ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა ბაღდათის მერია და კურორტი „საირმე“, რაც კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმებისა და სტაჟირების რეალურ გარანტიებს ქმნის.

აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და მოიცავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სპეციალიზებული კომპიუტერული ლაბორატორიები, სადაც თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სამუშაო ადგილით. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შერეულ მოდელში (პირისპირი და დისტანციური სწავლება), თუმცა არსებული ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას პირისპირ ფორმატშიც, რაც ზრდის პროცესის მოქნილობასა და მდგრადობას. ადგილზე დაგეგმილია ორი ზოგადი მოდულის – „უცხოური ენა“ და „პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები“ – განხორციელება, ხოლო სწავლის შედეგების დადასტურება სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების სასწავლო გარემოში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესსა და პირობებს. დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული დისტანციური სწავლების სამართლებრივი, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მათ შორის სწავლების ფორმები, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წესები, სტუდენტთა უფლებები, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, პროცესის ეტაპები, მეთოდოლოგიური სტანდარტები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აკადემიის მიერ წარმოდგენილია ელექტრონული სასწავლო პლატფორმა „PORTAL.WEAEDU.GE“, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულ ციფრულ ინტეგრაციას. პლატფორმა იძლევა როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას, რაც ზრდის სწავლების მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას. სისტემაში ინტეგრირებულია სასწავლო მასალები, ვიდეორესურსები, დავალებები, შეფასებისა და უკუკავშირის ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვასა და მონიტორინგს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსებით, მათ შორის OpenBiblio სისტემითა და წვდომით საკანონმდებლო მაცნესთან.

დაწესებულებას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო გარემოები: სამი A ტიპის და სამი B ტიპის აუდიტორია, რომელთაგან თითოეული გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე. B

ტიპის სასწავლო გარემოები დამატებით უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკისთვის. ყველა სასწავლო სივრცე სრულად არის აღჭურვილი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილისთვის საჭირო ინვენტარითა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელი რესურსებით. სასწავლო პროცესი წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ოპტიმალურ გადანაწილებას. პროფესიული მასწავლებლების საკმარისი რაოდენობა უზრუნველყოფს სწავლების პარალელურ განხორციელებას გადატვირთვის გარეშე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული დატვირთვა (მაქსიმუმ 30 საათი კვირაში, 5 სამუშაო დღეზე გადანაწილებით) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას. დამატებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ალტერნატიული ორგანიზების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გადანაწილებას 4 სამუშაო დღეზე (დარგობრივი მოდულებისთვის კვირაში 16 საათი).

პროგრამის ხარისხიან განხორციელებაზე პასუხისმგებელია 17 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის შერჩევა მოხდა მათი პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესის მართვასა და ინსტრუმენტების ვალიდაციაში. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 15 სტუდენტი, რაც არსებული კვოტის პირობებში სრულად ფარავს საოპერაციო ხარჯებს და უზრუნველყოფს განვითარების რესურსს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რისთვისაც შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და შეფასების აკომოდაციის მექანიზმები.

შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის წინასწარ ვალიდაციას, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხორციელდება შედეგების შიდა ვერიფიკაცია. აკადემია უზრუნველყოფს მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების – უვადოდ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს ჰქონდა შეკითხვები.

ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დააზუსტა დაწესებულების გამტარუნარიანობის საკითხი. ვინაიდან აკადემია უკვე ახორციელებს სხვა მრავალრიცხოვან პროგრამებს, იგი დაინტერესდა, რამდენად სწორად არის გადანაწილებული სასწავლო ცხრილები და როგორ ხდება „A“ და „B“ გარემოების ათვისება ისე, რომ არ მოხდეს სასწავლო პროცესების გადაფარვა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია მაწკეპლაძემ, განმარტა, რომ ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს აღნიშნული საკითხი. მისი თქმით: „A“ გარემო - ახალი პროგრამისთვის გამოყოფილია სამი დამოუკიდებელი აუდიტორია, სადაც სხვა პროგრამის სტუდენტები არ დაიშვებიან. აკადემიაში მოქმედი სხვა პროგრამებიდან ერთი საერთოდ არ ითვალისწინებს „B“ გარემოს საჭიროებას, ხოლო მეორე პროგრამა მას იყენებს კვირაში მხოლოდ 2 საათით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო ცხრილები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მოთხოვნებთან და გამტარუნარიანობის პრობლემა არ იდენტიფიცირდება, აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მოდულების უმრავლესობა დისტანციურად განხორციელდება.

პერსონალის პროფესიული განვითარების რეკომენდაციაზე მსჯელობისას, საბჭოს თავმჯდომარემ კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა ექსპერტთა მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მასწავლებელთა დატრენინგებას ეხებოდა. მან აღნიშნა, რომ მსგავსმა ჩანაწერებმა შაბლონური („ტრენდული“) ხასიათი მიიღო და მოითხოვა ექსპერტისგან დაკონკრეტება, თუ რა მიმართულებით აქვთ პრობლემა პედაგოგებს და რატომ გაიცა რეკომენდაცია მაშინ, როდესაც კოლეჯმა ახალ პერსონალს უკვე ჩაუტარა პირველადი ტრენინგი. ნათია მაწკეპლაძემ განმარტა, რომ რეკომენდაცია კონკრეტულ საჭიროებას ეფუძნება. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ

ნაწილს აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება, თუმცა არ ფლობენ სპეციფიკურ ცოდნას პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. თავად პედაგოგებმაც დაადასტურეს ამ კუთხით გამოცდილების ნაკლებობა. ექსპერტის განცხადებით, მართალია დაწესებულებამ უზრუნველყო საწყისი საინფორმაციო შეხვედრები, თუმცა განმავითარებელი რეკომენდაციის მიზანია, რომ კოლეჯმა მუდმივ რეჟიმში დაუჭიროს მხარი პედაგოგთა გაძლიერებას პროფესიული სწავლებისა და შეფასების სპეციფიკური ინსტრუმენტების გამოყენებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მსოფლიო განათლების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს მსოფლიო განათლების აკადემიას (ს/კ: 425060827) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი“ (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 აპრილი.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს წევრ ნათია ბუთხუხს ჰქონდა აცილება. სხდომის მდივნად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 აპრილის N404414 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში – SBA დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 7 აპრილს განხორციელდა ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში მის.: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, რექტორს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (კოდი 0411) არის მეხუთე დონის, იგი კურსდამთავრებულს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს. სასწავლო პროცესის ადგილია ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე სასწავლო კორპუსი, სწავლების ფორმა არის იმიტირებული. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 150 პირის ოდენობით განსაზღვრას. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 99 კრედიტით განისაზღვრა, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1 დონეები) გათვალისწინებით, იგი 129 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება აკადემიის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. „საქსტატისა“ და სხვადასხვა დასაქმების პლატფორმების (მაგალითად, SS.ge) მონაცემების მიხედვით, ფინანსურ და ბუღალტრულ სფეროში ვაკანსიების რაოდენობა მზარდია, რაც ადასტურებს პროგრამის აქტუალობას. აღსანიშნავია, რომ აკადემია ამ მიმართულებას 2018 წლიდან წარმატებით ახორციელებს და ფლობს მყარ ინტელექტუალურ კაპიტალს. პროგრამა ითვალისწინებს IFAC-ის საერთაშორისო განათლების სტანდარტებს, რაც კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს. დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და NAEC-ის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარება.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და მოიცავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასწავლო გარემოებს. კერძოდ, პროგრამისათვის გამოყოფილია სამი A ტიპის აუდიტორია, ორი B ტიპის კომპიუტერული ლაბორატორია და ორი მულტიფუნქციური AB გარემო. პრაქტიკული კომპონენტის

ასათვისებლად კომპიუტერებში დაინსტალირებულია სპეციალიზებული საბუღალტრო პროგრამა ORIS. სასწავლო რესურსები, მათ შორის ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკასა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა ორცვლიანი სწავლების პირობებში სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნილ სტუდენტთა კონტინგენტთან.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 20 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის დატვირთვა დაგეგმილია საქართველოს შრომის კოდექსის დაცვით და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 18 სტუდენტზე გადის. საპროგნოზო ბიუჯეტი დეტალურად ფარავს ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის ადმინისტრაციულ, საიჯარო და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის კომპონენტებს. გარემო ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ინტერესებზე, რისთვისაც აკადემიას გააჩნია როგორც ტექნიკური საშუალებები (ხმის აღწარმოების პროგრამა), ისე შესაბამისი სპეციალისტების მომსახურება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა პერიოდულ მონიტორინგს, დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევებსა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. პროგრამის განვითარების პროცესი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების მუდმივ გადახედვასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური და ობიექტური, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები საიმედოდ აღირიცხება და ინახება სამი წლის ვადით. აკადემიამ გამოხატა სრული მზაობა, რომ ახლად დამტკიცებული დარგობრივი სტანდარტის შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ასახოს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დაწესებულების მაღალ პროფესიულ პასუხისმგებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 აპრილი.

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსების“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს წევრ ნათია ბუთხუხს ჰქონდა აცილება. სხდომის მდივანად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილმა საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 აპრილის N404414 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში – SBA დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 7 აპრილს განხორციელდა ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში მის.: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, რექტორს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები“ (კოდი 0412) შეესაბამება მესამე დონეს, რომელიც კურსდამთავრებულს საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ადგილია ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე სასწავლო კორპუსი, სწავლების ფორმატი არის კოოპერაციული, რაც გულისხმობს სწავლების განხორციელებას რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 60 პირის ოდენობით განსაზღვრას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 56 კრედიტით განისაზღვრა, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 71 კრედიტს შეადგენს. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება თანხვედრაშია აკადემიის სტრატეგიულ მიზნებთან. 2025 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2022-2023 წლების კურსდამთავრებულთა 50% დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც პროგრამის მაღალ რელევანტურობაზე მიუთითებს. ამასთანავე, 2025 წლის მიღების მონაცემებით, დაწესებულებაში არსებულ 7 ვაკანტურ ადგილზე 91 აპლიკანტი დარეგისტრირდა, რაც ადასტურებს საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ინტერესს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და მინიმუმ 17 წლის ასაკი. საგულისხმოა პროგრამაში რუსული ენის, როგორც არჩევითი მოდულის ინტეგრირება, რაც მომსახურების სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობასა და რუსულენოვან კლიენტებთან ეფექტურ კომუნიკაციას უზრუნველყოფს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პარტნიორული ქსელი სრულად პასუხობს სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებებს. აკადემიაში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი A, B და AB ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და ციფრული ტექნიკით. ვინაიდან სწავლება კოოპერაციულია, უმნიშვნელოვანესია დაწესებულების თანამშრომლობა სამ მსხვილ პრაქტიკის ობიექტთან: სს „ტერაბანკთან“, სს „ლიბერთი ბანკთან“ და სს „გუდვილთან“. აღნიშნული ხელშეკრულებები ჯამში 240 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მოთხოვნილ კვოტას და უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 27 მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის დატვირთვა შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 18 სტუდენტზე გადის. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, მათ შორის ხმის აღწარმოების პროგრამებსა და ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებას, რაც აკადემიის ინკლუზიურ მიდგომას უსვამს ხაზს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების სისტემა მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ კომპონენტებს, ხოლო ინსტრუმენტების ხარისხი კონტროლდება ვერიფიკაციის შიდა მექანიზმით. აკადემია უზრუნველყოფს მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების – უვადოდ. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, პროგრამა „ფინანსები“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, რაც საფუძველს იძლევა საფინანსო სექტორისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და რეგიონული დასაქმების ბაზრის გაძლიერებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსების“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები“ **(დანართი 4)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 აპრილი.

მეხუთე საკითხი: შპს გეოგლობალ აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 10/02/2026 N139344 ბრძანების (ცვლილება 17/02/2026 N177717) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს „გეოგლობალ აკადემიაში“ დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 23, 24, 25, 26 და 27 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი შპს „გეოგლობალ აკადემიაში“ შემდეგ მისამართებზე ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80 და ქ. ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ. N17. ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. გასაუბრება შედგა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება საკუთარი ინიციატივითა და დაფინანსებით ყოველწლიურად ამზადებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ქართულ ენაში. დაწესებულების თქმით, ადგილობრივების მომართვიანობა ძალიან მაღალია. ვიზიტის დროს რამდენიმე ჯგუფში მიმდინარეობდა მეცადინეობა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მიიჩნია საუკეთესო გამოცდილებად, რადგან ის ხელს უწყობს სახელმწიფო ენის ცოდნას, რაც არის ინტეგრაციის მთავარი წინაპირობა. მომავალ პროფესიულ სტუდენტებს უადვილდებათ განათლების მიღება, დასაქმება და საჯარო სერვისებზე წვდომა. ამცირებს ენობრივ ბარიერს, რაც ხშირად არის სოციალური იზოლაციის მიზეზი. ზრდის მოქალაქეობრივ ჩართულობას, ეთნიკური უმცირესობა უფრო აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ პროცესებში. მსგავსი პრაქტიკა ამლიერებს კულტურათაშორის დიალოგს და ურთიერთგაგებას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. საბოლოოდ, ასეთი ინიციატივა არა მხოლოდ ენის სწავლას ემსახურება, არამედ ფართო სოციალური ინტეგრაციის ეფექტურ მოდელს წარმოადგენს.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1. დაწესებულებას ბოლნისის მისამართზე არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, არ აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 20 ოქტომბერს, ხოლო შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 01.03.2026-01.09.2026. როგორც გეგმიდან ჩანს, ექსპერტთა ვიზიტის დროს, შესაბამისობის გეგმა არ იყო მოქმედი. ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა გეგმის ვადებს აქედან გამომდინარე არ მიიღო მხედველობაში. მიხედვად იმისა, რომ დაწესებულება პრაქტიკულად უკვე ახორციელებდა აქტივობებს. ასევე, არც გეგმაში და არც თვითშეფასებაში არ იკვეთება დაწესებულების მიერ სტანდარტის შეფასება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წამოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (27/03/2026 N5643), სადაც გაწერილია, რომ აკადემიის აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად გეგმავს: ა) კომპეტენტური ორგანოსგან დასკვნის მიღებას შენობის უსაფრთხოების შესახებ და ბ) დასკვნის მიღებას შენობანაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. აქტივობების შესრულებისათვის გეგმაში განსაზღვრულია 6 თვიანი პერიოდი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ქ. ბოლნისის მისამართზე დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაკორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიიჩნია, რომ მასში განსაზღვრული ვადები არის რეალისტური და მისაღწევი. ამასთანავე, გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ლოგიკურად პასუხობს იდენტიფიცირებულ შეუსაბამობას, ხოლო ინდიკატორები უზრუნველყოფს მათი შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობას. ასევე, გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფის შესაბამისობის რეკომენდაციას დაწესებულებამ განახორციელოს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით

განსაზღვრული აქტივობები. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან

5.1.2.3. ბოლნისის მისამართზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან.

დაწესებულებას, შპს გეოგლობალ აკადემიის დირექტორის ბრძანებით (N20006, 20/10/2025, ცვლილება: 06/02/2026, N2242) დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა. გეგმის თანახმად, დაწესებულებას, ინდიკატორის ფარგლებში იდენტიფიცირებული შეუსაბამობების გათვალისწინებით, ბოლნისის ფილიალისთვის განსაზღვრული აქვს შემდეგი აქტივობა: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ბოლნისის ფილიალისთვის და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმება. გეგმა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ასევე, გამოყოფილია შემსრულებელი პირები. თუმცა აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 20 ოქტომბერს, ხოლო შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 01.03.2026-01.09.2026. როგორც ჩანს, ექსპერტთა ვიზიტის დროს, შესაბამისობის გეგმა არ იყო მოქმედი. ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა გეგმის ვადებს აქედან გამომდინარე არ მიიღო მხედველობაში. მიხედვად იმისა, რომ დაწესებულება უკვე ახორციელებდა პრაქტიკულად აქტივობებს. ასევე, არც გეგმაში და არც თვითშეფასებაში არ იკვეთება დაწესებულების მიერ სტანდარტის შეფასება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ვიზიტის დროს, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წამოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (27/03/2026 N5643), სადაც გაწერილია, რომ დაწესებულება აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად გეგმავს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან. აქტივობის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაკორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მიიჩნია, რომ მასში განსაზღვრული ვადები არის რეალისტური და მისაღწევი. ამასთანავე, გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ლოგიკურად პასუხობს იდენტიფიცირებულ შეუსაბამობას, ხოლო ინდიკატორები უზრუნველყოფს მათი შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობას. ასევე, გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. . ექსპერტთა ჯგუფის შესაბამისობის რეკომენდაციას დაწესებულებამ განახორციელოს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები

II სტანდარტი

საბაჟო საქმე - ორივე მისამართზე

2.2.1.1 და 2.4.1.5 დაწესებულება ითხოვს აქამდე არსებული 50 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად 80 პროფესიული სტუდენტის მიღებას. სასწავლო ფართი და აუდიტორიები იძლევა ამის საშუალებას, თუმცა დაწესებულებას დამატებით არ აქვს მოძიებული პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილ რაოდენობას. ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებს 2 სასწავლო წელს, წელიწადში დაწესებულება გეგმავს მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა შეფასებით, მხოლოდ ერთი პრაქტიკის ობიექტი არ არის საკმარისი მოდულის,, პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების მისაღწევად.

საფინანსო სერვისები - ორივე მისამართზე

2.2.1.1. და 2.4.1.5. წარმოდგენილი ხელშეკრულებები და მემორანდუმი არეგულირებს თანამშრომლობის მიზანს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე პრაქტიკის განხორციელების პირობებს, მათ შორის, დაწესებულებაში სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი მატერიალური რესურსის გამოყენებით უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის პირობებს.

ვეტერინარია - ბოლნისის მისამართზე

2.2.1.1. აკადემიის ბოლნისის ლოკაციაზე მოწყობილია ერთი A/C გარემო, სადაც განთავსებული უნდა იყოს: სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ჩონჩხები, ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილები, მულიაჟები (ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი) და სხვა დარგობრივი ვიზუალური თავლასაჩინოებები და ვეტერინარული ხელსაწყოების ნაკრები. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებას არ ჰქონდა ადგილზე ზემოაღნიშნული მატერიალური რესურსები. დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის გეგმა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.1. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით ყოველ სამ წელიწადში ან/და საჭიროებისამებრ ხარისხის მართვის მენეჯერი აცნობს დირექტორს განხორციელებულ აქტივობათა შესახებ შემდგომის რეაგირების მიზნით. მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების მექანიზმებიც. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განხორციელოს აღნიშნულ მეთოდოლოგიაში და დეტალურად გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება.

4.1.1.1. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულების სტრუქტურაში გამოყოს ქ. ბოლნისის სასწავლო კომპლექსისთვის განსაზღვრული პერსონალი.

4.2.1.1. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პერსონალის შეფასების მოქმედ პერიოდულობას და უზრუნველყოს შეფასების უფრო ხშირი ჩატარება, რაც შესაძლებელს გახდის თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების უფრო დროულ და ობიექტურ შეფასებას, ასევე პროფესიული განვითარების საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას.

5.1.1.6. ხარისხის მექანიზმების დოკუმენტში ასახულია, რომ რესურსების შეფასების მიზნით ტარდება გამოკითხვები. თუმცა, ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია გამოკითხვის მეთოდოლოგიის შესახებ. რა მეთოდებით ტარდება გამოკითხვა, გამოკითხვების ჩატარების პერიოდულობა, რა რაოდენობის რესპონდენტები მონაწილეობენ, რა შემთხვევაშია გამოკითხვა რელევანტური, როგორ ხდება შედეგების ანალიზი სხვ. რეკომენდებულია, აღნიშნული მეთოდოლოგია იყოს ერთიანი და ვრცელდებოდეს არა მარტო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევაზე არამედ დაწესებულებაში ჩატარებულ ყველა გამოკითხვაზე, მათ შორის პერსონალის, მასწავლებლების და დამსაქმებლების/პარტნიორების.

5.2.1.2. რეკომენდებულია, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაიწეროს შესასრულებელი სამუშაოების პერიოდულობა, დაწესებულების პრაქტიკის შესაბამისად.

5.2.2.2. დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებლები (user).

5.2.3.4. გამომდინარე იქედან, რომ კატალოგი არის სარეკლამო ხასიათის დოკუმენტი, რეკომენდებულია დაწესებულებამ დაინტერესებული პირებისთვის კატალოგში შეიტანოს ინფორმაცია აკადემიის ისტორიის, მისი ღირებულებების შესახებ, ასევე, ბიზნესთან თანამშრომლობის, სტუდენტური სერვისების (მთ შორის სსსმ/შშმ პირებისთვის), სტუდენტების მიღების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ, რომელიც მიმზიდველად წარმოაჩენს პსდ-ს დაინტერესებული პირებისთვის. ასევე, რეკომენდებულია, კატალოგში მითითებული იყოს რომელი წლის კატალოგია და ვინ არის კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი/ჩართული მხარეები და რა პერიოდულობით ახლდება კატალოგი.

II სტანდარტი

ფარმაცია (სააფთიაქო)

2.1.1.8. პროგრამის იმ პუნქტში, რომელიც დოკუმენტის შემუშავების საფუძვლებზე მითითებას წარმოადგენს, პსდ-ს მითითებული აქვს ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები, რომლის მიხედვითაც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავების საფუძველს ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს, უნდა

მიეთითოს პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავების საფუძვლები (ჩარჩო დოკუმენტი და სხვა შესაძლო შიდა დოკუმენტი) და არა თავად ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლები.

საექთნო განათლება

2.2.1.1 და 2.4.1.5. შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ხელშეკრულება 30.10.2024წ (35 პროფესიული სტუდენტი). ხელშეკრულების ვადა 2025 წლის 30 ივნისამდე. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, განაახლოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრთან. - ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულია. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას, აღნიშნეს, რომ ვადის გაგრძელება ტექნიკურად არის გამორჩენილი და სხვა ყველა ხელშეკრულებაში გახანგრძლივებულია ვადა 2033 წლამდე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ დანარჩენ 9 კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად ფარავს კლინიკური მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, განაახლოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრთან.

საფინანსო სერვისები

2.1.1.8. კოოპერაციული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ პროგრამის ძირითად დოკუმენტში ასახოს ინფორმაცია დაწესებულებასა და პარტნიორებს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების პროცენტული გადანაწილების თაობაზე. რეკომენდებულია ინფორმაცია პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში დამატებით აისახოს მოდულებში. აღნიშნული დაზუსტება ხელს შეუწყობს პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესის კიდევ უფრო გამჭვირვალე და თანმიმდევრულ წარმართვას.

აღმზრდელი

2.4.1.5. დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურთან გაფორმებულ ხელშეკრულებას დამატებით დანართის სახით ახლავს მოდულების ჩამონათვალი, რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე. რეკომენდებულია, აღნიშნული დანართი (პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულების ჩამონათვალი) დაემატოს დანარჩენ სამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსაც.

ყველა პროგრამის ფარგლებში:

2.3.1.1. დაწესებულების მიერ განხორციელებულ კვლევის ანგარიშებში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია გამოკითხვის მეთოდოლოგიის შესახებ.

2.4.2.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ვალიდურ შეფასების ინსტრუმენტში გააკეთოს მითითება, რომ ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდაცია და ვინ არის/არიან ვალიდატორი/ები. კოლეჯის მისია, ხედვა და სტრატეგიული განვითარება შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებსა და დადგენილ სტანდარტებს. ექსპერტთა დასკვნით, აკადემიას, რომელმაც 2025 წლის ივნისში რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შეიცვალა სახელწოდება და მონოპროფილურიდან მრავალპროფილურ საგანმანათლებლო სივრცედ გარდაიქმნა, კარგად აქვს გააზრებული თავისი როლი საგანმანათლებლო სისტემაში. მისი მთავარი მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა. დაწესებულების 2031 წელზე გათვლილი ხედვა და ისეთი ძირითადი საოპერაციო ღირებულებები, როგორცაა ობიექტურობა, გამჭვირვალობა, თანამშრომლობა და უწყვეტი განვითარება, სრულად იზიარებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი როგორც აკადემიის ვებგვერდზე, ისე ფიზიკურ სივრცეში. შესაბამისად,

პირველ კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყველა ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად შეფასდა.

სტრატეგიული განვითარების კუთხით, აკადემიაში დანერგილია დაგეგმვის ქმედითი პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება 2021 წელს დამტკიცებულ და 2025 წელს განახლებულ სპეციალურ მეთოდოლოგიას. დაწესებულება ხელმძღვანელობს შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, რომელთა შემუშავება მიმდინარეობს თანამონაწილეობითი პრინციპით, სპეციალური სამუშაო ჯგუფის, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით. დაგეგმვის პროცესი იწყება მისიის, ხედვისა და SWOT ანალიზის შემუშავებით, რის საფუძველზეც განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, ამოცანები, ადამიანური თუ ფინანსური რესურსები და შესრულების ვადები. მიუხედავად იმისა, რომ გეგმების შედგენის პროცესი მაღალ დონეზეა ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა ერთი მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია. კერძოდ, აღინიშნა, რომ არსებული მეთოდოლოგია მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს გეგმების შეფასების პროცედურებს, რის გამოც დაწესებულებას მიეცა მკაფიო მითითება, შეიტანოს ცვლილება დოკუმენტში და მასში დეტალურად გაწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების მექანიზმები.

გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა აკადემიაში აქტიურად ფუნქციონირებს და მოიცავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიურ, ხოლო სტრატეგიული გეგმის სამწლიან მონიტორინგს. ექსპერტებმა შეისწავლეს 2024-2025 წლების ანგარიშები, სადაც ნათლად ჩანს, რომ დაწესებულება დეტალურად აფასებს ამოცანების შესრულების სტატუსს კატეგორიების მიხედვით (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, პროცესშია, ვერ შესრულდა). დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი პერსონალის ანგარიშებზე დაყრდნობით ამზადებს სიღრმისეულ ანალიზს, რომელიც მოიცავს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, შეუსრულებელი ამოცანების მიზეზების კვლევასა და შემდგომი რეაგირების გზებს.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა და მათი მხარდაჭერის მექანიზმები შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. აკადემიამ შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა კომპლექსური შიდა რეგულაციები, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ეთიკის კოდექსი და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად იცავს მათ კანონიერ ინტერესებს და დეტალურად ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკას. აკადემიაში მოქმედი შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რაც დასტურდება გასაჩივრების ქმედითი მექანიზმითა და 2025 წლის კმაყოფილების კვლევის შედეგებით, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა 97% შეფასების მეთოდებს სამართლიანად მიიჩნევს. სტუდენტთა ინფორმირებულობა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის დაწყებამდე გამართული საორიენტაციო შეხვედრებით, სადაც დეტალურად განიხილება მათი უფლება-მოვალეობები. აკადემია აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ დაცული და გამჭვირვალე სასწავლო გარემო, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და წარმატებულ კარიერულ გზას. ადმინისტრაციული სერვისების ოპერატიულობას უზრუნველყოფს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა eFlow, რის შედეგადაც სტუდენტთა 99% საჭირო დოკუმენტაციას გონივრულ ვადებში იღებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიის სოციალური პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის უფასო კურსების შეთავაზებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მათ აქტიურ ჩართვაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ ირიცხებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები, აკადემიას სრულად აქვს ფორმირებული სამართლებრივი და ინფრასტრუქტურული მზაობა მათი მიღებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით უზრუნველყოფისათვის. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარეა, რაც აისახება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებლებში. ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი

მონაცემებით, საექტონო საქმის, ფარმაციის, საფინანსო სერვისებისა და აღმზრდელის პროგრამების კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებით დასაქმდა სპეციალობით, რაც პარტნიორ დამსაქმებლებთან, მაგალითად „ჯეო ჰოსპიტალსთან“, მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. დაწესებულება რეგულარულად ატარებს ვორქშოპებს რეზიუმეს მომზადებისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, რაც სტუდენტთა 91%-ს აძლევს შრომის ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანობის განცდას.

კოლეჯში ფუნქციონირებს PDCA ციკლი. აკადემია არა მხოლოდ აგროვებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირს, არამედ ანალიზებს და მათ საფუძველზე გეგმავს სამომავლო ინტერვენციებს, როგორცაა სტუდენტური ინიციატივების კიდევ უფრო მეტი წახალისება და დარგობრივი მხარდაჭერის გაძლიერება.

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სისტემა უზრუნველყოფს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას. აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს დამფუძნებელთა კრებას, დირექციას და მრავალპროფილურ ადმინისტრაციულ ერთეულებს, მკაფიოდ არის რეგლამენტირებული შესაბამისი დებულებებითა და სამუშაო აღწერილობებით. ფუნქციათა განაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ წარმართვას, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტონომიურობა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს სასწავლო პროცესის მართვასთან. მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ექსპერტი 2026 წლის გაფართოების გეგმაზე ბოლნისში, რის გამოც დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა ორგანიზაციულ სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ბოლნისის სასწავლო კამპუსისთვის განსაზღვრული პოზიციები.

პერსონალის მართვის პოლიტიკა აკადემიაში ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და გუნდურობის პრინციპებს, რაც შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან. შერჩევის პროცედურები, რომელიც მოიცავს ვაკანსიების საჯარო გამოქვეყნებასა და მრავალეტაპიან კონკურსს, უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას, რაც დადასტურდა პირადი საქმეების შემოწმებითა და ინტერვიუებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება აკონტროლებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციფიკურ მოთხოვნებსაც, მათ შორის ნასამართლეობის შესახებ ცნობებს სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე. თანამშრომელთა ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევები ცხადყოფს ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას, სადაც მოვალეობების დელეგირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის მონაწილეობა ინსტიტუციური განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

პერსონალის განვითარების კუთხით აკადემია იყენებს სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც საქმიანობის შეფასებას, ისე პროფესიული წინსვლის ხელშეწყობას. ამჟამინდელი სისტემით შეფასება ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა არასაკმარისად დინამიკურ პერიოდად რეალური სურათის დასანახად. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია შეფასების ციკლის გახშირებასთან დაკავშირებით, რათა უფრო ოპერატიულად მოხდეს საჭიროებების იდენტიფიცირება. ამის მიუხედავად, დაწესებულებაში არსებული 2025 წლის ტრენინგების გეგმა და მასწავლებელთა პერმანენტული გადამზადების პრაქტიკა დარგობრივი კომპეტენციების ამაღლების მიმართულებით დადებითად შეფასდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი, რომელიც მენტორობის ინსტიტუტსა და ინფრასტრუქტურის გაცნობის ეტაპებს მოიცავს, რაც საგრძნობლად ამცირებს ადაპტაციის პერიოდს.

პერსონალის მოტივირებისა და წახალისების ქმედით სისტემას რაც შეეხება, იგი აკადემიის მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. დოკუმენტურად დასტურდება წახალისების ისეთი ფორმები, როგორცაა ფულადი პრემიები (მაგალითად, 2025 წელს გახარჯული 980 ლარი), ხელფასზე პროცენტული დანამატები დამწყები მასწავლებლებისთვის და სპეციალური საგზურები გამორჩეული თანამშრომლებისთვის.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასება ცხადყოფს, რომ დაწესებულება ფლობს სათანადო ინფრასტრუქტურასა და რესურსებს სასწავლო და

ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებლად წარმართვისათვის. აკადემია ოპერირებს ორ ლოკაციაზე: მარნეულში, სადაც ფლობს 2420,61 კვ.მ. ფართს და ბოლნისში, სადაც მის განკარგულებაშია 323,6 კვ.მ. ფართობი. იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებულია გრძელვადიანი პერიოდით, რაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ სტაბილურობას მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ორივე ლოკაცია აღჭურვილია თეორიული სწავლების აუდიტორიებით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკებითა და სამედიცინო კაბინეტებით. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირთათვის, რაც მოიცავს როგორც პანდუსებს, ისე სპეციალურად მოწყობილ სანიტარულ კვანძებს.

უსაფრთხოების კუთხით აკადემიაში დანერგილია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, რისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს შრომის უსაფრთხოების ინსტიტუტთან. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის ლოკაციაზე სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის დოკუმენტაცია წესრიგშია, ექსპერტთა ვიზიტისას ბოლნისის ფილიალში აღინიშნა შესაბამისი დასკვნების არქონა. თუმცა, დაწესებულებამ წარადგინა რეალისტური და კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ამ ხარვეზების აღმოფხვრას ექვსი თვის ვადაში. ამ გარემოების გათვალისწინებით, 5.1. კომპონენტი შეფასდა. როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციაში ტერმინოლოგიური ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ პრაქტიკასთან, ვინაიდან მომსახურება ხორციელდება გარე კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა აკადემიაში სრულად პასუხობს საგანმანათლებლო საჭიროებებს. დაწესებულების მფლობელობაშია ჯამში 160 კომპიუტერი და მრავალფუნქციური პერიფერიული მოწყობილობები. IT რისკების მართვა ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის საფუძველზე, რაც მოიცავს მონაცემთა სინქრონულ სარეზერვო ასლების აღებას Google Drive-ზე და ლოკალურ სერვერებზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილია სპეციალურად დანიშნული ოფიცრის მიერ, ხოლო ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არეგულირებს უსაფრთხოებას კანონმდებლობის დაცვით. ექსპერტთა რეკომენდაციაა, რომ IT მართვის პოლიტიკაში უფრო დეტალურად გაიწეროს ტექნიკური სამუშაოების პერიოდულობა. აკადემია წარმატებით იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა eFlow-ს, თუმცა პროცესის ოპტიმიზაციისთვის სასურველია სისტემის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აკადემია იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სანდო და უტყუარი ინფორმაცია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ კატალოგში დამატებით აისახოს ინფორმაცია აკადემიის ისტორიის, სტუდენტური სერვისებისა და ბიზნესთან თანამშრომლობის შესახებ, რათა დოკუმენტს უფრო მიმზიდველი სარეკლამო ხასიათი მიეცეს. რაც შეეხება ფინანსურ რესურსებს, დაწესებულება ავლენს მდგრადობას; მისი შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, რაც სრულად ფარავს როგორც საოპერაციო, ისე სტრატეგიული განვითარების ხარჯებს. ფინანსური ანგარიშგება გამჭვირვალეა და რეგულარულად ქვეყნდება შესაბამის სახელმწიფო პორტალზე, რაც ადასტურებს აკადემიის ფინანსურ საიმედოობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ფარმაცია (სააფთიაქო)

პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (კოდი 0916) შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. იგი არის მეხუთე დონის, რაც კურსდამთავრებულს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს. საგანმანათლებლო პროცესის ადგილია ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სასწავლო კორპუსში, სწავლების ფორმატია კოოპერაციული, რაც გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებულ განხორციელებას რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 114 პირის ოდენობით განსაზღვრას. პროგრამის

მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 123 კრედიტით განისაზღვრა, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით, იგი 153 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება აკადემიის მისიასა და შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა 80%-დან 90%-მდე დასაქმებულია საკუთარი პროფესიით, რაც პროგრამის მაღალ რელევანტურობაზე მიუთითებს. ამასთანავე, 2025 წლის მიღების მონაცემებით, არსებულ 46 ვაკანტურ ადგილზე 102 აპლიკანტი დარეგისტრირდა, რაც ადასტურებს რეგიონში ფარმაცევტული განათლების მიმართ მზარდ ინტერესს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. საგულისხმოა, რომ პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს „მზა სამკურნალწამლო ფორმები“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პარტნიორული ქსელი სრულად პასუხობს სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებებს. აკადემიაში მოწყობილია სამი B ტიპის კომპიუტერული გარემო, სამი A ტიპის აუდიტორია და სპეციალიზებული A/C გარემო, რომელიც მოიცავს აფთიაქის მოდელსა და ქიმიურ-ტექნოლოგიურ ლაბორატორიას. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე გამწოვი სისტემით, მიკროსკოპებით, რეაქტივებითა და ყველა საჭირო ჭურჭლით. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში აკადემია თანამშრომლობს ხუთ პრაქტიკის ობიექტთან, მათ შორისაა „ვერსი-ფარმა“, „იმპექსფარმი“, „ფარმა 2019“ და სხვა, რაც ჯამში 185 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის რეალურ გარემოში პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 32 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 27 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ჰყავს ორი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესის მართვასა და ხარისხის კონტროლში. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებასა და ნარჩენების მართვას, რისთვისაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპეციალიზებულ კომპანია „ეკომედთან“.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს პერიოდულ გამოკითხვებს, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, რაც დასტურდება ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობითა და სტუდენტთა პორტფოლიოების სისტემატური შემოწმებით. აკადემია უზრუნველყოფს მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საექთნო საქმე

„საექთნო საქმე“ (კოდი 0913) არის მეხუთე დონის, რომელიც კურსდამთავრებულს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საექთნო საქმეში. სასწავლო პროცესის განხორციელების ადგილია ქალაქი მარნეული, წავლების ფორმატი არის კოოპერაციული. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 240 პირის ოდენობით განსაზღვრას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 180 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით, იგი 210 კრედიტით არის განსაზღვრული.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება თანხვედრაშია აკადემიის მისიასა და ქვემო ქართლის რეგიონის სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში მაღალკვალიფიციური ექთნების მწვავე დეფიციტია, რასაც ემატება აპლიკანტთა მხრიდან გაზრდილი ინტერესი; კერძოდ, 2025 წელს არსებულ 64 ვაკანტურ ადგილზე 106

მსურველი დარეგისტრირდა. დასაქმების სტატისტიკა ასევე დადებით დინამიკას აჩვენებს, რადგან კურსდამთავრებულთა 67% წარმატებით საქმდება საკუთარი პროფესიით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას დადგენილ ვადებში.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სრულად პასუხობს სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებებს და მოიცავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებს. აკადემიაში მოწყობილია ორი AC ტიპის გარემო, სადაც განთავსებულია ფუნქციური საწოლები, მანეკენები, ქირურგიული ინსტრუმენტები და სხვა სამედიცინო აღჭურვილობა. ასევე ფუნქციონირებს ორი A ტიპის თეორიული სწავლების სივრცე, ორი B ტიპის კომპიუტერული კლასი და ქიმიის ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი რეაქტივებითა და ხელსაწყოებით. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკასა და ციფრულ პლატფორმებზე, ხოლო პერსონალს მუდმივი წვდომა აქვს „საკანონმდებლო მაცნეს“ განახლებულ ბაზასთან.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს ათ პარტნიორ კლინიკასთან, მათ შორის „ვერსის კლინიკასთან“, „ჯეო ჰოსპიტალსთან“ და სხვა მსხვილ სამედიცინო ცენტრებთან. ხელშეკრულებებით მკაფიოდ არის განსაზღვრული კლინიკური სწავლების პირობები და ინსტრუქტორთა და სტუდენტთა ოპტიმალური თანაფარდობა (1/7). ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრთან“ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, თუმცა აღინიშნა, რომ სხვა მოქმედი ხელშეკრულებები სრულად ფარავს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის საჭიროებებს. უსაფრთხოების ნორმები დაცულია როგორც აკადემიაში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და ნარჩენების მართვის სისტემა.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 59 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი და 17 კლინიკური პრაქტიკის ინსტრუქტორი. პერსონალის საათობრივი დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს. რენტაბელობის ზღვარი 18 სტუდენტზე გადის. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, თუმცა საანგარიშო პერიოდში ასეთი სტატუსის მქონე სტუდენტების ჩარიცხვის საჭიროება არ დამდგარა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს პერიოდულ გამოკითხვებს, რომლებმაც დამსაქმებელთა და სტუდენტთა მხრიდან 90%-ზე მაღალი კმაყოფილება აჩვენა. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, რაც დასტურდება ვერიფიკაციისა და ვალიდაციის შიდა პროცედურებით. აკადემია უზრუნველყოფს მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საბაჟო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ (კოდი 1032) არის მეხუთე დონის. იგი მეტწილად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული პროგრამა კურსდამთავრებულს საბაჟო საქმეში უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს და იგი ხორციელდება ორ ლოკაციაზე: მარნეულსა და ბოლნისში. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 93 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი კომპონენტის გათვალისწინებით, მოცულობა 123 კრედიტით განისაზღვრა. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებთან, ვინაიდან ქვემო ქართლის რეგიონში რამდენიმე სტრატეგიული საბაჟო გამშვები პუნქტი მდებარეობს, რაც კვალიფიციურ კადრებზე მაღალ და სტაბილურ მოთხოვნას განაპირობებს.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ აკადემია ორივე მისამართზე ფლობს სათანადოდ აღჭურვილ თეორიულ (A), კომპიუტერულ (B) და

კომბინირებულ (AC) სასწავლო გარემოებს, რომლებიც უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, ციფრული ტექნიკითა და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფით. თუმცა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 პირამდე გაზრდასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა იდენტიფიცირება მოახდინა გარკვეულ შეუსაბამობაზე. კერძოდ, მარნეულის მისამართზე მხოლოდ სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ არსებული ხელშეკრულება არ მიიჩნეის საკმარისად მოდულის – „პრაქტიკული პროექტის“ – სრულფასოვნად განსახორციელებლად 80 სტუდენტისთვის. ანალოგიური პრობლემა დაფიქსირდა ბოლნისის მისამართზეც, სადაც პროგრამის დამატებისას არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტულად ამ ლოკაციისთვის ვალიდური მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან. აღნიშნული გარემოებების გამო, რესურსების კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთთვიანი რეალისტური გეგმა პარტნიორული ქსელის გაფართოების მიზნით.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 16 მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური გუნდი საერთოა ორივე ფილიალისთვის. დაწესებულებას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განვითარებისა და ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესებში. აკადემია ასევე სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკისა და ელექტრონული ბაზების მეშვეობით, ხოლო ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა გადაადგილებისა და სწავლისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა დაფუძნებულია PDCA ციკლზე და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის სისტემატურ ანალიზს. შეფასების პროცესი არის ვალიდური და ობიექტური, რაც დასტურდება შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებითა და სტუდენტთა პორტფოლიოების წარმოების წესით. მონაცემთა აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საფინანსო სერვისები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ (კოდი 0412) მეტწილად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამა კურსდამთავრებულს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს და მისი განხორციელების ადგილია: ქალაქი მარნეული და ქალაქი ბოლნისი. საგანმანათლებლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 52 კრედიტით განისაზღვრა, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მოდულის გათვალისწინებით, იგი 67 კრედიტს შეადგენს. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება მყარად არის არგუმენტირებული და ეფუძნება ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ პროფილს, სადაც ბიზნეს სუბიექტების სიმრავლე და საბანკო-საკრედიტო სექტორის განვითარება კვალიფიციურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას განაპირობებს. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ აკადემია ფლობს სათანადოდ აღჭურვილ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო გარემოებს, მათ შორის სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამა „Alta“-ს დემო ვერსიას. დაწესებულება ორივე მისამართზე ჯამში 160 სტუდენტის მიღებას ითხოვს (80 მარნეულში და 80 ბოლნისში), მაშინ როდესაც არსებულ პარტნიორ ორგანიზაციებს – სს „ლიბერთი ბანკს“, შპს „გორგიასა“ და შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“ – ჯამურად მხოლოდ 100 სტუდენტის მიღება შეუძლიათ. აღნიშნული რესურსული დეფიციტის გამო, კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. საპასუხოდ, აკადემიამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთთვიანი გეგმა, რომელიც ახალი პარტნიორი ობიექტების მოძიებასა და ხელშეკრულებების გაფორმებას ითვალისწინებს. პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 22 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 15 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის შერჩევა მოხდა მათი პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციების

გათვალისწინებით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესის მართვასა და ინსტრუმენტების ვალიდაციაში. რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 16 სტუდენტს. გარემო სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც აკადემიის ინკლუზიურ მიდგომას ადასტურებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს პერიოდულ კვლევებს სტუდენტთა, პერსონალისა და დამსაქმებელთა კმაყოფილების დასადგენად. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია გამოკითხვის მეთოდოლოგიის გაერთიანებისა და მეტი გამჭვირვალობის შესახებ. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, რაც დასტურდება შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებით. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები საიმედოდ აღირიცხება და ინახება სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ვეტერინარია

„ვეტერინარიის“ (კოდი 0841) პროგრამა კურსდამთავრებულს ვეტერინარიაში უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს და მისი განხორციელების ადგილებია ქალაქი ბოლნისი და ქალაქი მარნეული, კოოპერაციული სწავლების ფორმატით. საგანმანათლებლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტით განისაზღვრა, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი კომპონენტის გათვალისწინებით, იგი 150 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 პირის ოდენობით განსაზღვრას თითოეულ ლოკაციაზე.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება არგუმენტირებულია და ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს, რომელიც დარგში კადრების მწვავე დეფიციტს ადასტურებს. სურსათის ეროვნული სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, საქართველოში ვეტერინართა საშუალო ასაკი 60 წელია, რაც მომავალში კადრების კრიტიკულ სიმცირეს განაპირობებს. განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მესაქონლეობას მისდევს. აკადემიის კვლევამ აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა 70% წარმატებით საქმდება საკუთარი პროფესიით, რაც პროგრამის მაღალ რელევანტურობაზე მიუთითებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მარნეულის ფილიალი სრულად არის აღჭურვილი თეორიული და პრაქტიკული (AC) გარემოებით, მათ შორის ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორიითა და აფთიაქის მოდელით. ბოლნისის მისამართზე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იდენტიფიცირებული იქნა გარკვეული საჭიროებები სპეციფიკური მატერიალური რესურსების განთავსებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის რეალისტური გეგმა. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად აკადემია თანამშრომლობს მრავალფეროვან ობიექტებთან, მათ შორის შპს „ხორცკომბინატთან“, ი/მ კოჩლიძის ფერმასთან და სხვადასხვა ვეტერინარულ კლინიკებთან, რაც ჯამურად სრულად ფარავს სტუდენტთა მოთხოვნილი კონტინენტის საჭიროებებს. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 21 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 13 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. პერსონალის დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის მართვასა და ხარისხის კონტროლში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა სიცოცხლისუნარიანია, რადგან მისი განხორციელება უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებასა და ნარჩენების მართვას, რისთვისაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპეციალიზებულ კომპანია „ეკომედთან“. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს პერიოდულ კვლევებს სტუდენტთა, პერსონალისა და დამსაქმებელთა კმაყოფილების დასადგენად. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, რაც დადასტურებულია შიდა ვერიფიკაციის

მექანიზმებითა და სტუდენტთა პორტფოლიოების სისტემატური წარმოებით. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები საიმედოდ აღირიცხება და ინახება სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები — უვადოდ. დაწესებულებამ წარადგინა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვალიდაციის შევსებული ფორმები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტი არ ფიქსირდება. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ვალიდურ შეფასების ინსტრუმენტში გააკეთოს მითითება, რომ ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდაცია და ვინ არის/არიან ვალიდატორი/ები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – აღმზრდელი

